



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### ლოლაშვილი ჟანრი გიორგის ძე



ჟ. ლოლაშვილი

ლოლაშვილი ჟანრი გიორგის ძე (დ. 22. IV. 1942, თბილისი), თეატრისა და კინოს მსახიობი, მხატვარი. საქართველო. სახ. არტისტი (1981). 1963 დაამთავრა მოსკოვის კინემატოგრაფისტთა ინ-ტის უმაღლესი კურსები, 1965 – შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი. 1958–61 იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მხატვარ-მულტიპლიკატორი; 1963–64 – ზუგდიდის სახელმწ. თეატრის მსახიობი. 1966-იდან მოღვაწეობს რუსთაველის თეატრში, სადაც შეასრულა შემდეგი როლები: ტიმოთე (ა. ცაგარლის „ხანუმა“), გრენგოლმი (შ. დადიანის „გუშინდელი“),

მწერალი (პ. კაკაბაძის „ყვარყვარე“), მერკუციო, მასხარა (უ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, „მეფე ლირი“), მთხრობელი (ბ. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“; სსრკ სახელმწიფო პრემია, 1979), ვარსქენი („შუშანიკის მარტვილობა“, იაკობ ცურტაველის მიხედვით), გოგი, ბანდიტი, დავითი (რ. სტურუას, ა. ვარსიმეშვილის, ლ. ფოფხაძის „ვარიაციები თანამედროვე თემაზე“), იონა (ლ. თაბუკაშვილის „ათვინიერებენ მიმინოს“), ლუარსაბი („კაცია-ადამიანი?!“, ი. ჭავჭავაძის მიხედვით, დაჯილდოვდა მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის რუსთავის საერთაშ. თეატრ. ფესტივალზე „ოქროს ნიღაბი“, 2000) და სხვ. ლ-ს შექმნილი აქვს მრავალი დასამახსოვრებელი ეკრანული სახე. მისი კინოდებიუტი შედგა ა. რეხვიაშვილის ფილმში „ნუცა“ (თავადი, 1971); „მწვანე მდელო“ (მხატვარი; 1973), „საფეხური“ (1986), „მიახლოება“ (მამა; 1989); სამივეს რეჟ. ა. რეხვიაშვილი), „ერთი ნახვით შეყვარება“ (რეჟ. რ. ესაძე, 1975), „ამხანაგ სტალინის მოგზაურობა აფრიკაში“ (ილია ილიჩი; 1990, ორივეს რეჟ. ი. კვირიკაძე), „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ (ირაკლი; რეჟ. ლ. ლოლობერიძე, 1978), „მომეხმარეთ

იალბუზზე ასვლაში“ (რეჟ. ნ. ჯორჯაძე, 1981), „ჭა“ (ხრინგაძე; რეჟ. პ. ჩარკვიანი, 1988), „ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი“ (გარსია პედრო, სულით ავადმყოფი; რეჟ. რ. ჩხეიძე, 1989), „ნათლისღება“ (რეჟ. ნ. მანაგაძე, 1994), „ერთანმინდა“ (რეჟ. ზ. თუთბერიძე, 1994), „სამი სახლი“ (ფსიქიატრი, ჯემალი, 2008), „დარჩი ჩემთან“ (2011), ტელესერიალში „ცხელი ძაღლი“ (ბიძინა თაბაგარი; 2003–09; სამივეს რეჟ. ზ. ურუშაძე).

ლ-მა შექმნა ტელეგრაფისტ ქრისტოფერ ჰიუზის შთამბეჭდავი სახე ნ. ჯორჯაძის ფილმში „რობინზონიადა, ანუ ჩემი ინგლისელი პაპა“ (1986). მონაწილეობდა სატელევიზიო სპექტაკლებში: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ და სხვ. ლ-ის მიერ შესრულებული როლები გამოირჩევა ხასიათის მრავალფეროვნებითა და დამაჯერებლობით. მნიშვნელოვანია მისი ფერწერული ნამუშევრებიც. 2020 თბილისში მოეწყო ლ-ის გამოფენა „გალერეა არტში“, საქართვე. ეროვნ. მუზეუმისა დ. შევარდნაძის სახ. ეროვნ. გალერეაში.

---